გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 3
(11 562)

15 – 17 იანვარი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# დარტყმა!... დარტყმა!.. კიდევ დარტყმა!..



## ეროსი მანჯგალაძის გახსენება 4

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები... 5



საუთჰემპტონი – მანჩესტერი

## ნბა 6



ტორონტო – კლიპერსი

# საქართველოს საფეხბურთო კლუბები საგაზაფხულო მზადებას შეუდგნენ 3

# სამოსანი მსაჯები მატჩებს ვერ მოემსახურებიან

## ხელბურთი

**მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი. თბილისი. 13 იანვარი. გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლე. 5 ათასი მაყურებელი.**

საქართველო – ფინეთი 23:23

*საქართველო:* თევზაძე, ქობელაშვილი, ყიფიანი, გვაზავა, ჭანტურია, კალანდაძე, გელაშვილი, ბოყოჩაძე, ორჯონიკიძე, ფერაძე.
*გოლები:* ბოყოჩაძე – 8, კალანდაძე – 7, გელაშვილი – 4, ფერაძე – 2, ყიფიანი – 1, ორჯონიკიძე – 1.
*ფინეთი:* სერესკენი, სტოლტი, ლინდბერგი, კოსკუე, უელინგი, ლუნკვისტი, ნორლინგი, მონბერგი, ვესტერჰოლმი, აარნე, სიოსტედტი, უუდი.
*გოლები:* ვესტერჰოლმი – 11, ნორლინგი – 7, მონბერგი – 4, კოსკუე – 1;
*მსაჯები:* დ. რეპენშეკი, ი. კოპეენიკი (ორივე – სლოვენია)
*კომისარი:* ი. კარეცი (სლოვაკეთი).

## უშანსოთა შანსები

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ნება დაგვრთო სანაკრებო მატჩი შინ ჩაგვეტარებინა. შესაბამისად ზაზა დოლიძის შეგირდების მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გასვლის შანსი გაიზარდა. თუმცა, მონდომებისა და გამარჯვების სურვილის მიუხედავად, როდესაც ყოველივეს ოსტატობა ზურგს ვერ უმაგრებს, შანსი უშანსობას უფრო ჰგავს.

ფინელებთან ორრაუნდიანი ბრძოლა წავაგეთ, თუმცა, შეგვეძლო ორივე მატჩი მოგვეგო, მაგრამ, ჯერ ფინეთში, მატჩის ბოლო წუთებში გავუშვით ხელიდან ექვსბურთიანი უპირატესობა და დავმარცხდით, და ახლა შინ, მხოლოდ ფრეს დავჯერდით.

სპორტის სასახლეში საქომაგოდ მრავლად მოსულთა ჟიჟინით გამხნევებული ქართველი ხელბურთელები ფინელებს ეკვეთნენ და მე-6 წუთისთვის 4-1 ვიგებდით, მაგრამ, როგორც მატჩის შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, ეს წამიერი აფეთქება იყო. მე-15 წუთისთვის ფინელებმა ანგარიში გაათანაბრეს 6:6. ტიტე კალანდაძის თამაშის ფონზე ლიდერობა ალეკო ბოყოჩაძემ იკისრა და პირველ ტაიმში ყველა შვიდმეტრიანი ჯარიმა ზუსტად შეასრულა, რამაც უპირატესობის შენარჩუნების საშუალება მოგვცა და ტაიმი სამი ბურთით 12:9 მოვიგეთ. მეორე ნახევარში გუნდში ლიდერის აუცილებლობის მაგალითი გვიჩვენეს ფინელებმა. ნორდინგის 7 გოლს ვესტერჰოლმა 11 მიაყოლა, სწორედ ამ ორი მოთამაშის წყალობით მიაღწიეს სტუმრებმა სასურველ შედეგს. ტიტე კალანდაძემ 7 გოლი კი გაიტანა, ბოყოჩაძემ სულაც რვა, მაგრამ ჩვენი ნაკრების თამაშში ბევრი წუნიც იყო, თუმცა, თითქმის ბოლო წუთამდე ვიყავით წინ. ფინელებმა მატჩის დასრულებამდე 17 წამით ადრე გაათანაბრეს ანგარიში (შეხვედრაში მესამედ და საბოლოოდ). ბოლო შეტევა ჩვენ იყო, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ და



მალხაზიშვილის ფოტო

ფრე, 23:23. რაც ზუსტად ასახავს ძალთა თანაფარდობას.

ჯერ ბოლომდე დაკარგული არაფერია. ბრძოლა ჯგუფში პირველობისთვის კიდევ შეიძლება. 17 იანვარს ჰოლანდიელებს ვმასპინძლობთ და თუ გვინდა წარმატებაზე ვიფიქროთ, მატჩამდე დარჩენილ მცირე დროში ხარვეზები უნდა გამოვასწოროთ.

საბა ლომინაძე

## კომენტარი:

ახლა ისეთი დროა და სპორტში აზროვნება ისე შორს წავიდა, საბოლოო შედეგის დაპროგრამებასაც კი ცდილობენ, რაც ხშირად ამართლებს კიდეც. გულშემატკივარი ჯერ საამისოდ მომზადებული არ არის, ხშირად იგი ზედაპირული ანალიზით მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამა თუ იმ მეტოქეს მისი სათაყვანო გუნდი იოლად გაუსწორდება, მით უფრო, როცა მატჩს შინ ატარებს. ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ, რომ მას შემდეგ, რაც ფინეთის ნაკრებთან ჩვენმა ხელბურთელებმა ურიგოდ არ ითამაშეს მატჩი სტუმრად, პირველი ნახევარი მოიგეს კიდეც და იყო მომენტი, როცა 6 ბურთითაც დაწინაურდნენ, საპასუხო თამაშის თბილისში მოგება ალარავის აეჭვებდა. უპირველესად ჩვენი ეროვნული ნაკრები იყო დაჯერებული ამაში და ეს განწყობა გადაედო სხვებსაც.

ჩვენებმა ზედმეტი სიფხიზლე ეტყობა არაფრად ჩააგდეს. ზემოთ ვახსენეთ დაპროგრამება. ყველა მეტოქე მეორის წინააღმდეგ გარკვეულ ტაქტიკას ამუშავებს. მწვრთნელებს და მათ დამხმარეებს დღეს ამ საქმეში ტექნიკაც ეხმარება – დაჯდებიან და რამდენჯერაც მოისურვებენ, იმდენჯერ „გადახარშავენ" ვიდეოჩანაწერს, მეტოქეს მოუძებნიან ძლიერ და სუსტ წერტილებს, გააანალიზებენ და გასაღებს მოარგებენ. მით უფრო, თუ საპასუხო შეხვედრა ორ-სამ დღეშია და ბევრი არაფერი შეიცვლება მეტოქის ბანაკში.

ახლა, როცა ყველაფერი ჩავლილია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფინელებმა შესანიშნავად გაითვალეს ყველაფერი და გაუმართლა კიდეც, ცხადია, თვით მასპინძელთა „ხელშეწყობით." დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ მეტოქე დასახულ პროგრამას ასრულებდა გამოზომილი სიდინჯით, არ „აღიზიანებდა" მეტოქეს – ზომიერი დისტანცია დაცული იყო თვით ანგარიშის სხვაობაშიც კი. ფინელები ყოველ ხელსაყრელ მომენტში სრული სიზუსტით აკეთებდნენ იმის მაქსიმუმს, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა. მატჩი ისე მიიწურა, ჩვენი ნაკრები აშკარად ვერ მოეგო გონს, ვერასგზით ვერ მოახერხა შესაძლებლობების რეალიზება, ამასთან, გამოჩნდა, რომ თავდაჯერება შიშველ სურვილზე ყოფილა დაფუძნებული.

გეგმავდნენ თუ არა ფინელები მატჩის მოგებას, ძნელი სათქმელია, მაგრამ სრულიად კმაყოფილები დარჩნენ იმითაც, რასაც მიაღწიეს. დრო კი, ალბათ, სტუმრებს არ ეყოთ მატჩის მოსაგებად და არა ჩვენ. საკითხავი ის რჩება, მსაჯებზე ვინ უფრო განაწყენებული დარჩა – ჩვენი ნაკრები იქ ფინეთში, თუ ფინელები აქ – თბილისში.

მოკლედ, არ გამოდგა მეტოქე ისეთი ხელწამოსაკრავი გუნდი, როგორც ეს ბევრს წარმოედგინა.

მიმომხილველი

### II საკვალიფიკაციო ჯგუფი

ფინეთი – საქართველო 23:20
საქართველო – ფინეთი 23:23
ჰოლანდია – ავსტრია 26:26
ავსტრია – ჰოლანდია 24:20

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 50-46 | 3 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 46-43 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 1 | 1 | 43-46 | 1 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 46-50 | 1 |

## რედაქტორის სვეტი

ნათქვამია, „კარზე ვინც აკაკუნებს, იმას უღებენო!" ქართული სპორტის მამები ქვეყნის მთავრობის კარზე არათუ კაკუნით, ვედრებით გადაიღალნენ და მაშინ, როცა თითქმის ჩაიქნიეს ხელი, იმედის სხივი გამოკრთა. გადახალისდა მთავრობა, რაც მთავარია, სახელმწიფო მინისტრის პოსტი დაიკავა კაცმა, რომლისთვის ესოდენ ნაცნობია სპორტის სფერო და სპორტის, როგორც ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცების, ისე მისი სოციალური ფუნქცია.

ჩვენი სახელმწიფოს პრეზიდენტი არასდროს ყოფილა გულგრილი სპორტის მიმართ. ეტყობა, სხვასაც მისებრ უნდა შესტკიოდეს გული, საქმეს რომ სასიკეთო ძვრები დაეტყოს. ახლა ასეთი გულშემატკივარი გამოჩნდა – ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე, რომელიც, როგორც იტყვიან, პირდაპირ გადავიდა საქმეზე. ადრე თუ საოცნებო იყო მთავრობის უფრო დაბალი ჩინოვნიკების დონეზეც კი ქართული სპორტის სამყაროსთან გულახდილი დიალოგი, ახალმა სახელმწიფო მინისტრმა თავისი მოღვაწეობის სტარტზევე რეალობად აქცია ნანატრი შეხვედრა, თანაც არა სამუშაო კაბინეტში, არამედ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საქტო დარბაზში ფართო წარმომადგენლობასთან.

უამრავი პრობლემა იქცა მსჯელობის საგნად. ქართული სპორტის სატკივარზე გულწრფელად ლაპარაკობდნენ ადამიანები, რომლებიც უხელფასოდ, კეთილმოუწყობელ, ზამთრობით გაყინულ სპორტულ ბაზებზე აკეთებენ თავიანთ საქმეს, ერთგულად ემსახურებიან ქართულ სპორტს, ეროვნულ სიამაყეს უნარჩუნებენ ხალხს. დამღუპველია, როცა უსახსრობის გამო, ვთქვათ, სპორტული ბაზები არ ფუნქციონირებს სრული დატვირთვით, მავანს კი მის ხელში ჩაგდებაზე უჭირავს თვალი. მდგომარეობა გამოსწორდება, სახსრებიც გაჩნდება, დანაკარგის ანაზღაურებას კი ათეულობით წლები დასჭირდება. ბოლოს და ბოლოს, სპორტული ბაზები ფედერაციებს უნდა გადაეცეს, მხოლოდ იურიდიული საფუძველია გადასაწყვეტი სახელმწიფო დონეზე.

სახელმწიფო მინისტრის წინადადებით, ორ თვეში შემუშავდება ქართული სპორტის კონცეფცია, რის შემდეგ ასეთი შეხვედრა კვლავ შედგება, ეს უკვე დიდი საქმეა! გაჩნდა ქართული სპორტის რეფორმის რეალური იმედი...

## 6 ავსტრალიის ღია ჩემპიონატი



ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი პირველივე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 7 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 24 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

## ნორჩ ჩოგბურთელთა საშობაო ტურნირი

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ჩოგბურთის სპორტულმა სკოლამ და სპონსორებმა ლამაზი საშობაო ტურნირი აჩუქეს ნორჩ ჩოგბურთელებს. ტურნირში მონაწილეობდა 30 მოზარდი. ***1987-88 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა*** შორის პირველობა მოიპოვა მერაბ ქაშიბაძემ, მეორე იყო — ალეკო ირემაშვილი, მესამ — ბონდო მესხი. ამავე ასაკის გოგონებში ადგილები განაწილდა ასე: 1. მაია ირემაშვილი, 2. მარიამ მიკუჩაძე, 3. სალომე მკერვალიძე.

***1989 წლიანთა და უმცროს ასაკში*** ბიჭებიდან ყველას აჯობა გიორგი ჯალაღონიამ, მეორე პრიზიორი გახდა დიტო კვინიკაძე, მესამე ადგილი წილად ხვდა გიორგი ნიჟარაძეს. ამავე ასაკში გოგონებიდან საუკეთესო იყო ნანა ჯოლოხავა, მეორე ადგილზე გავიდა ანა როსებაშვილი, მესამეზე — თამუნა გამეზარდაშვილი.

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!






*ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები ასპარეზობის ორგანიზატორებთან და სპონსორებთან.*
*რობერტ ბაგოიანის ფოტო*

**ბამოვიდა** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჟურნალ „ოლიმპიელის“ 2001 წლის ბოლო, გაერთიანებული 3-4 ნომერი. გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია სოკ-ის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის და მისი ახლანდელი მემკვიდრის ჟაკ როგის პრეზიდენტის პოსტზე ურთიერთმონაცვლეობის მომენტი. ჟურნალი ტრადიციულად იხსნება სეოკ-ის გენერალური მდივნის, ჟურნალ „ოლიმპიელის“ სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის ემზარ ზენაიშვილის წერილით: „როდემდე“, რომელშიაც მხატვრული ფორმით, მოკლედ, მაგრამ მკაფიოდაა გაანალიზებული ქართულ სპორტში არსებული პრობლემები. ჟურნალი კვლავ დიდ ადგილს უთმობს ჩვენი შესანიშნავი ათლეტის გიორგი ასანიძის წარმატებებს და მის სპონსორებს, რომლებიც მხარში უდგანან მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ძალოსანს.

მორაგბეთა ბოლოდროინდელი წარმატებებით ჩვენში ყველა აღფრთოვანებული დარჩა და „ოლიმპიელმაც“ ჯეროვნად დააფასა ჩვენი რაინდები. „ოლიმპიადა ჩინურ კედელში გავიდა“ — ამ სათაურით ჟურნალი ორ მოვლენას ეხმიანება. მოსკოვში სოკ-ის სესიაზე ამ ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტის არჩევას და იმ ენითაუწერელ სიხარულს, რაც გამოიწვია ჩინელებში იმავე დღეს 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლად პეკინის არჩევამ.

„ის, რაც დღეს ხდება, ქართული სპორტის აბუჩად აგდებაა“ — წერილის სათაურში გამოტანილი ეს სიტყვები ეკუთვნის ქართული სპორტის მესაჭეს ირაკლი მეძმარიაშვილს, რომელიც სულ ახლახან 40 წლისა გახდა. იგი ჩვეული პირდაპირობით, მაგრამ დიდი ტკივილით ლაპარაკობს ქართულ სპორტში შექმნილ პრობლემებზე, რომელიც არ შეიძლება არ გაიზიაროს თითოეულმა ჩვენგანმა და იმათაც, ვისაც ამ პრობლემების მოგვარება სახელმწიფოებრივად ევალება.

ჟურნალი არც ამჯერად ღალატობს ტრადიციას და თავის ფურცლებზე გამოაქვს მათი სიკეთე, ვინც ფინანსურად უმართავს ხელს ჩვენს სპორტსმენებს. წერილში: „წყალშემდგარ ქართულ სპორტს მშველელად ლუდი შეუდგა“, ლაპარაკია გოგი თოფაძის დამსახურებაზე, რომელმაც შარშან გაჭირვებაში ჩავარდნილი ქართული სპორტი სირცხვილისაგან იხსნა და ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეების მონაწილე ჩვენი სპორტული დელეგაცია დააფინანსა ესპანეთის ქალაქ მურსიაში გასამგზავრებლად. სხვა წერილში კი გოგი თოფაძე, როგორც სპორტის ზამთრის სახეობათა პრეზიდენტი ეხება ზამთრის ოლიმპიადაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობასა და სამომავლო გეგმებს.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სხვა საინტერესო მასალები, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე, უცხოეთის სპორტული ცხოვრებიდან.

როგორც ყოველთვის, ჟურნალის ეს ნომერიც ქართულ-ინგლისურენოვანია.




*ნინო ჯავახია*

## «გრაცია» — ზეიმი და ჰარმონია

თბილისის 23-ე საშუალო სკოლის სააქტო დარბაზში ხშირად იმართება სხვადასხვა საინტერესო ღონისძიება, მაგრამ განსაკუთრებით ინტერესს იწვევს ხელოვნების წარმომადგენელთა გამოსვლები. შარშანდელი წლის მიწურულს აქ საცეკვაო სტუდია „გრაციამ“ (ხელმძღვანელი ზაზა ენუქიძე) მორიგი ტრადიციული ტურნირი ჩაატარა სპორტულ, ევროპულ და ლათინოამერიკულ ცეკვებში. მოწვეული იყო სხვადასხვა ასაკის 57 წყვილი დედაქალაქის სხვადასხვა კოლექტივიდან, აგრეთვე საგარეჯოდან. თავიანთ ასაკში წარმატება წილად ხვდათ ფავორიტებს. აი ისინიც: ნიკა ქურხული — მარი გილაშვილი; აჩიკო ხოჯაშვილი — ქრისტინა ოგანეზოვა; ერიკ გასპარიანი — მაია ხატიაშვილი; ნინა წიკლაური — ანა რომელაშვილი; კოტე დონაძე — ია ხატიაშვილი.



ახალგაზრდა შემსრულებელთა გარდა ტურნირში იასპარეზეს „სინიორებმა“, რაც ასევე „გრაციამ“ ტრადიციად დაამკვიდრა. მონაწილეთაგან აქ ყველაზე უმცროსი 38 წლისა იყო, უფროსი — 70-ის. ამ კატეგორიაში კვლავ გაიბრწყინა სპარტაკ ცერცვაძე — ნატალია ჩერკასოვას, ჯემალ ნემსიწვერიძე — ელისო ბაკურაძის, ამაიაკ ჩიმანინ — ცირა ცაგარელის ცნობილმა წყვილებმა.

პირველად გაიმართა აგრეთვე ასპარეზობა არა წყვილთა, არამედ ინდივიდუალური პროგრამით — სალასი. დებიუტანტებმა ოთხი შესარჩევი ეტაპი გაიარეს. საბოლოოდ წარმატება წილად ხვდა ნინო ჯავახიას.

*რობერტ ბაგოიანის ფოტოები*

## საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



## მზია ჯუღელიდან — უსასრულობისაკენ

მოზარდებთან უსასყიდლოდ, ე.წ. საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობის მზიასეულმა თაოსნობამ იმ წლებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. როგორც მაშინ მიღებული იყო, წამოწყების განსაზოგადოებლად პროპაგანდისტული მანქანა სრული ძალით ამუშავდა. თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, სადაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავისი „ექსპერიმენტის“ ხორცშესხმა დაიწყო, მთელი საბჭოთა სივრცის ყურადღების ცენტრში მოექცა. ცხადია, ყველაზე გამორჩეულად აქტიურობდა ჩვენი პრესა. რესპუბლიკის ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარემ ნ. მეიფარიანმა „ლელოს“ ფურცლებიდან მოუწოდა ტანვარჯიშის ყველა სპეციალისტს, ვეტერან თუ მოქმედ სპორტსმენებს, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსკურსელებს, მიებაძათ მზიასათვის. მიბაძეს კიდეც, რამაც მზიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ბევრი ნორჩი აზიარა სპორტს, ბევრსაც სექციებში მეცადინეობა ფიზიკურ და სულიერ სრულყოფაში დაეხმარა“.



*ასე იწყებდა მწვრთნელობას მზია ჯუღელი...*

... 1963 წლიდან მზიამ მსაჯობა დაიწყო და ხშირად იწვევდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ფაქტობრივად, იგი არ ჩამოშორებია ტანვარჯიშულ სამყაროს და ყველაზე მეტად იმით იყო კმაყოფილი, რომ უცხოეთში გამართულ ასპარეზობაში თანამემამულე სპორტსმენებს გვერდით ედგა, რომლებიც სახელოვნად აგრძელებდნენ მის მიერვე ფუძეჩაყრილ ტრადიციას.

წიგნი, თუმცა მზია ჯუღელზე იწერება, ჩვენი სასიქადულო ოლიმპიური ჩემპიონი, ავტორთან საუბარში თბილად იგონებს ყველას, ვისთანაც კი ჰქონია ურთიერთობა. ფაქტებისა და მოვლენების გახსენებისას სულაც არ ცდილობს მხოლოდ საკუთარი თავი წამოსწიოს წინა პლანზე, რასაც უთუოდ შენიშნავდა მკითხველი.

„ბედნიერი ვარ, რომ სპორტში დავრჩი სამუდამოდ. სხვაგვარად ვერც წარმომედგინა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს თვალწინ გაიზარდა სპორტსმენთა თაობები, ტანვარჯიში კი სრულყოფილ ხელოვნებამდე ავიდა“ – კმაყოფილების განცდით ამბობს ქალბატონი მზია.

ამ სტრიქონების ავტორთან სასაუბროდ გამოყოფილი ერთი შეხვედრა, მთლიანად ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეებს და მათ აღმზრდელებს დაეთმო. ცხადია, ქალბატონ მზიას თხოვნით. დონარა ჯანუყაშვილით იწყებს 60-იანი წლების პირველ ნახევარს და ინდონეზიაში სტუმრობას იგონებს, სადაც მსაჯად იყო მიწვეული. სინანულით ახსენდება იქ დონარას გამოსვლა. მზიას აზრით, ჩვენს ტანმოვარჯიშეს უნდა მოეგო ბჯენითი ხტომები, რომ არა ინდონეზიელ და ჩინელ მსაჯთა ბრიგადის საოცარი არაობიექტურობა. თავად სხვა იარაღზე მსაჯობდა იმ დროს.

***მზია ჯუღელი:*** „დონარა ძლიერი სპორტსმენი იყო, მიზანდასახულად შრომისმოყვარე. საბჭოთა კავშირის პირველობაზე მრავალჭიდში, ერთხელ მესამე პრიზიორიც გახდა, რაც მაშინ ძალიან ძნელი მისაღწევი იყო, რადგან საბჭოთა კავშირი უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ქვეყნად ითვლებოდა.

ფურორი მოახდინა მზია ნინოშვილმა, როცა თავისუფალი ვარჯიში ქართული ცეკვის ელემენტებით გაამდიდრა ქორეოგრაფ თინათინ ზურაბიშვილის დახმარებით. ამ ვარჯიშმა მზიას დიდი ავტორიტეტი მოუტანა და შორს გაითქვა სახელი. დასანანია, რომ ამ ნიჭიერმა ტანმოვარჯიშემ თავი ადრე გაანება სპორტს – გათხოვების შემდეგ მეუღლემ აღარ დართო ნება სპორტულ სარბიელზე გამოსულიყო. მახსოვს, პირადად ვთხოვე მის მეუღლეს მზიას ერთ, თუნდაც ბოლო გამოსვლაზე დათანხმებულიყო. უარი ველარ მითხრა – მხოლოდ ერთხელო – გაგვაფრთხილა. ის ბოლო ასპარეზობა „დინამოს“ საკავშირო პირველობა იყო. მზია ნინოშვილი პრიზიორი გახდა.

რუსუდან სიხარულიძეზე და ნინა დრონოვაზე ხომ დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. ორივე საბჭოთა კავშირის ნაკრების მშვენება იყო, შთამბეჭდავ წარმატებებს აღწევდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში. თავიანთი მონაცემებით ორივეს შეეძლო გამხდარიყო ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ ადრე ჩამოშორდნენ სპორტს. თავის დროზე რუსუდანი ბათუმიდან თბილისში გადმოვიყვანეთ დასაოსტატებლად და დროებით ემა ქოიავასთან ცხოვრობდა, ავარჯიშებდა ნუკრი გაბრიაძე, რომელმაც რუსუდანის, როგორც უმაღლესი კლასის ტანმოვარჯიშის მომზადებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მაშინ მე ვიყავი უფროსი მწვრთნელი და აღფრთოვანებას ვერ ვფარავდი რუსუდანის მწვრთნელის თავდაუზოგავ, შემოქმედებით მუშაობას რომ ვუცქერდი.

ნინა დრონოვას ამზადებდნენ შესანიშნავი მწვრთნელები – ვალენტინა კლიმოვა და სერგო ბურჯანაძე. რუსუდანის მსგავსად, ნინა ძალიან ძლიერი იყო დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში. 1972 წელს, ოლიმპიური თამაშების წინ, ნინა მოიწამლა, რაც მისთვის სპორტული კარიერის დასასრულად იქცა.

შემდეგ გვყავდა აგრეთვე უნიჭიერესი მხატვრული ტანმოვარჯიშე ეკა აბრამია, რომელიც ნელი სალაძის გარჯით დაოსტატდა, გახდა ოლიმპიელი დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. ახლა ტრადიციებს კიდევ ერთი ოლიმპიელი, რუსთაველი ინგა თავდიშვილი აგრძელებს მწვრთნელ ნანა ლონდარიძის ხელმძღვანელობით. უფროსთა ნაკვალევს კი დაბეჯითებით მიჰყვებიან ჯერ კიდევ ნორჩები, ელისო ბედოშვილის აღსაზრდელები ქეთინო ხატიაშვილი და სალომე ჭყონია, სხვა მათი თანატოლები“ ....

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*დასაწ. იხ. „ლელო“ №40.... 102.*

*გაგრძელება იქნება*



# მსაჯები შინ იმეცადინებენ, სამოსნები კი მატჩებს ვერ მოემსახურებიან


ა. მილჩენკო

გასაკვირი სულაც არაა, რომ კლუბებთან ერთად სამარტო მატჩებისთვის მსაჯებიც გამალებით ემზადებიან. მოსამზადებელი პროგრამაც საკმაოდ გადატვირთულია. ვარჯიშები, ტესტები, გამოცდები, ისევ ვარჯიშები, ტურნირი. აი ასეთი გრაფიკი ექნებათ მსაჯებს სეზონის განახლებამდე.

საფეხბურთო თემიდის თავკაციც ანატოლი მილჩენკო ჩვენთან საუბარში საკმაოდ მკაცრი იყო. „შეღავათს ვერავის გავუწევთ. თუ მსაჯებს სურთ უმაღლესი და პირველი ლიგის მატჩებს სათანადოდ მოემსახურონ, რთული მოსამზადებელი პერიოდი ყველამ მაქსიმალური ძალისხმევით უნდა გაიაროს და ის მოთხოვნები ზუსტად შეასრულოს, რომელიც მაღალ დონეზე მსაჯობისთვის აუცილებელია“ – განაცხადა სფფ-ს სმსაჯოსაინსპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელმა.

● ***როდის დაიწყეს მსაჯებმა მზადება?***

— 10 იანვრიდან კროსებს დარბიან, დარბაზში ტრენაჟორებზე ფიზიკურ ვარჯიშებს ასრულებენ, ეცნობიან წესებს. შარშანდელი სეზონის დამთავრებისთანავე, ყველა მსაჯს საშინაო დავალებები მივეცით. მატჩების ინსპექტორთა პატაკების, მათი ნიშნების, პრესის გამოხმაურებისა და ხელმძღვანელთა აზრის გათვალისწინებით, ის შენიშვნები წარვუდგინეთ, რაც მათმა მუშაობამ დაგვანახვა. თითოეულ მათგანს გავაცანით ახალი წესები და მივუთითეთ კონკრეტულად წესების რომელ პარაგრაფებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება შინ მეცადინეობისას.

● ***რას მოიცავს მოსამზადებელი პერიოდი?***

— გარდა ზემოქმულისა და საშინაო დავალების შესრულების აუცილებლობისა, ყველაფერი ტრადიციულად წარიმართება. 20-23 თებერვალს ტესტირება და გამოცდები ჩატარდება. მერე ბორჯომში ხუთდღიანი შეკრება გვაქვს დაგეგმილი, მანამდე, 4-8 თებერვალს ასკ-ს სპორტულ კომპლექსში მესამედ გაიმართება მსაჯთა ხსოვნის ტურნირი.

● ***გაგვაცანით ღონისძიებათა თანმიმდევრობა, ტესტებისა და გამოცდების მოთხოვნები და შინაარსი.***

— პირველად, რა თქმა უნდა, კუპერის ტესტს ჩავიბარებთ — 45 წელს მიახლოებული მსაჯებისთვის მინიმუმი ასეთია — 12 წუთში მსაჯებმა უნდა გაირბინონ 2700 მეტრი; არანაკლებ 7,5 წამში ორჯერ უნდა დაფარონ 50 მეტრი, ასევე ორჯერ არანაკლებ 32 წამისა, უნდა გაირბინონ 200 მეტრი. ახალგაზრდა მსაჯებს მეტი მოეთხოვებათ: 12 წუთში 2900 მეტრი, 50 მეტრი 6,8 წამში, 200 მეტრი — 29 წამში. უმცროსებისთვის ესეც მინიმუმია, თუმცა, ადრე მოქმედ მსაჯებს რეკორდებიც აქვთ დამყარებული. 3200 მეტრი, 6,6 წამი და 27 წამი — შესაბამისად 12 წუთიან, 50 და 200 მეტრზე სირბილისას. ფიზიკური ტესტის შემდეგ, თეორიული გამოცდების ჯერია. წერითი გამოცდისას 20 წუთში 35 შეკითხვაზე უნდა უპასუხონ. გამოკითხვა გაგრძელდება ფიფა-უეფას მიერ შედგენილი ვიდეო ტესტით, ზეპირი გამოცდა კი 5-5 კითხვიანია და 55 ბილეთისგან შედგება. ამ სამი კომპონენტიდან მიიღება ერთი შეფასება. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ფიფას არბიტრებისთვის სფფ-ს მიერ განსაზღვრული დამატებითი შეკითხვები. ვინც ფიზიკურ ნორმატივებს ვერ ჩააბარებს, მინიმუმს ვერ შეასრულებს, თეორიულ გამოცდაზე არ დაიშვება. ისინი დამატებით მოემზადებიან და სფფ-ს მიერ დათქმულ დღეს ხელმეორედ ჩააბარებენ ტესტებს. თეორიაში დამატებითი ბილეთია გათვალისწინებული თუკი პასუხი პირველ ბილეთზე არასრულყოფილი იქნება. ვინც ოთხიანზე ნაკლებ ნიშანს მიიღებს, მატჩებს ვერ მოემსახურება. მსაჯი, რომელიც ტესტებსაც და თეორიასაც ჩააბარებს, გასაუბრებას გაივლის, დაიდება კონტრაქტი, მასზე გაიცემა ლიცენზია, რის საშუალებითაც იგი უფლებას მიიღებს გაუძღვეს უმაღლესი და პირველი ლიგის მატჩებს. ეს ეხება მთავარ მსაჯსაც და ასისტენტსაც.

გამოცდების შემდგომი ბორჯომის შეკრება მსაჯების ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ განვლილ მასალებს, სიახლეებს. შევამოწმებთ ცოდნას, უფრო გავამყარებთ მას. შეკრებიდან დაბრუნებულები მატჩების მომსახურებას დავიწყებთ. ზემოთქმული გეგმა შეიძლება მცირედით შეიცვალოს, მაგრამ ერთი რამ ნაღდია: მსაჯები ფიფასა და უეფას რეკომენდაციით, კვალიფიკაციის, მატჩის სირთულის, ფიზიკური, თეორიული და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით დაინიშნებიან მატჩებზე. თითოეული მსაჯი ყოველი ტურის წინ, ორი დღით ადრე „გენერალურ“ ვარჯიშებს ჩაატარებს. ასევე იქნება რეგიონებში. შევამოწმებთ მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მზადყოფნას. დადგინდება კონკრეტული მატჩის მსაჯის ვინაობა.

● ***ეს ყველაფერი მსაჯობას ეხება, ინსპექტორების შერჩევა როგორ ხდება?***

— ინსპექტორები ფიფა-უეფას რეკომენდაციით კონკურსის წესით შეირჩევიან. მათთვისაც ფიზიკური ტესტების გამოკლებით, ისეთივე გამოცდები ჩატარდება, როგორიც მსაჯებს ექნებათ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჯანმრთელობას, საერთო ფიზიკურ მდგომარეობას, მხედველობას. პრივილეგია მიენიჭებათ სფფ-ს თანამშრომლებს, გავითვალისწინებთ საუკეთესო მაჩვენებლებს, პიროვნების საფეხბურთო ცოდნას, ავტორიტეტს, ღვაწლს, მატჩის ორგანიზების უნარს, მის უკომპრომისო ხასიათს.

● ***შარშან მსაჯების შეცდომებს დიდი რეზონანსი მოჰყვა, ზოგიერთი მკაცრადაც დაისაჯა.***

— ბორჯომში ხუთდღიან შეკრებაზე უმთავრესი ყურადღება სწორედ შეცდომების გამოსწორებას დაეთმობა. მსაჯებს მოვთხოვთ ოფიციალური მატჩები უფრო მკაცრად იმსაჯონ. მათ მიერ შინაურ პირველობებზე გამოჩენილი ლიბერალიზმი ჩვენს კლუბებს დათვურ სამსახურს უწევს, რაც ნათლად ვლინდება საერთაშორისო მატჩებზე. ფეხბურთელთა უდისციპლინობას, უხეშობას არბიტრების მეშვეობითაც უნდა ვებრძოლოთ. არავის ვაშინებთ, მაგრამ ყველას ვაფრთხილებთ, განახლებულ ჩემპიონატში მკაცრი მსაჯობა იქნება. ყოველივე კლუბების ხელმძღვანელებმა და ფეხბურთელებმაც უნდა გაითვალისწინონ. მსაჯები, რომლებიც არ შეასრულებენ ფიფასა და უეფას რეკომენდაციებს, ჩვენს მიერ წარმოდგენილ მითითებებს, დაისჯებიან. მსაჯთა კორპუსი ახალგაზრდავდება, კარგი ცვლა მოდის და, შესაბამისად, იზრდება კონკურენცია.

ერთი რამ მინდა დავამატო, საკონტროლო მატჩებს უსასყიდლოდ მოვემსახურებით. ამით კიდევ ერთხელ შევამოწმებთ მსაჯთა მზადყოფნას, შევასწორებთ წარმოჩენილ ხარვეზებს, დავეხმარებით თავად კლუბებს, რაც პრესაში გავრცელებული ჩვენი განცხადებით აღვნიშნეთ კიდეც. ტესტირებისა თუ გამოცდების შემდეგ, სფფ-ს ხელმძღვანელობასთან გამართული გასაუბრების მიზანი, უპირველესად, შარშანდელ მატჩებში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაა და მათგან მიღებული მითითებების შესრულება. ეს ეხება ცალკეულ მსაჯსაც, ინსპექტორსაც და მთლიანად სამსაჯოსაინსპექტორო კომიტეტს.

● ***ალბათ, სწორედ მონდომებული მუშაობის მაჩვენებელია 2002 წლის ფიფას „ბანგ ლისტში“ ქართველი მსაჯების სიმრავლეც...***

— ფიფას არბიტრი ადრე ორი გვყავდა, ახლა სამია: სერგო კვარაცხელია, მერაბ მალაღურაძე და ლევან ფანიაშვილი, ორიდან რვამდე გაიზარდა ასისტენტთა რაოდენობა: გურამ ჩიგოგიძე, ზურაბ დოლიძე, მამუკა ელიკაშვილი, კობა გაბრიაძე, ზაზა მენთეშაშვილი, ლევან მიქელაძე, ავთანდილ სამხარაძე, ლაშა სილაგავა. ჰოლანდიელი სპეციალისტის კეის ბაკერის რეკომენდაციამ, მის მიერ ჩატარებული პროგრეს-კურსების შედეგებმა და იმ საერთაშორისო მატჩების მონაცემებმა და ნიშნებმა, რომლებსაც ჩვენი მსაჯები უძღვებოდნენ, შესაძლებელი გახადა ფიფას ქართველი მსაჯების კვალიფიკაციით დაინტერესება. შარშან 5-5 საერთაშორისო მატჩი იმსაჯეს კვარაცხელიამ და მალაღურაძემ, ესენი იყო 21 წლამდე ნაკრებების შესარჩევი მატჩები, ინტერტოტოს, უეფას თასისა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრები. ფუტზალის (მინიფეხბურთი) ფიფას არბიტრების კვალიფიკაცია მიენიჭათ ალექსანდრე მეშკოვს და ალექსანდრე შილაკაძეს. მეშკოვმა იმსაჯა სპლიტში გამართული ლიტვისა და ბელორუსიის გუნდების ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი.

ვცდილობთ, წარმოვაჩინოთ ახალგაზრდობა. გამოცდილი მსაჯების გვერდით იზრდება პერსპექტიული თაობა: მესხი, მაისურაძე, ბუიშვილი, კიკაჩეიშვილი, სილაგავა, მენთეშაშვილი, ჭვარიძე, ბრეგვაძე, ურუშაძე, თბილელი და სხვები. კარგ შევსებას ვილებთ რეგიონებიდან: ლევან კვარაცხელია, ზვიად ერქვანია, ალეკო გუნთაძე, კირილე ბერაძე, ოთარ ხეცაძე, არსენ ნონიკაშვილი, გიორგი ვადაჭკორია, ვასილ ელისაბედაშვილი და ხარიტონაშვილი — თბილისის მსაჯთა კოლეგიიდან. მათ გამოჩენაში წვლილი მიუძღვით ცნობილ ვეტერან მსაჯებს კოკაიას, ლაცაბიძეს და ტალიაშვილს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყოველმხრივ გვიწყობს ხელს, დროულად ვილებთ ანაზღაურებას, ვმარაგდებით ფორმებით და აღჭურვილობით, დაიგეგმა და სრულად განხორციელდება მოსამზადებელი გრაფიკი. ისღა დაგვრჩენია კარგად ვიმსაჯოთ.

**მიხეილ საბახტარიშვილი**



**კლუბები საგაზაფხულო სეზონისთვის მზადებას შეუდგნენ**

# ბათუმის «დინამო»

**ზამთრის ერთთვიანი არდადეგების შემდეგ ახალი სეზონისათვის წვრთნას შეუდგა ბათუმის „დინამო“.**

როგორც ცნობილია, 2 მარტს, განახლდება საქართველოს მე-13 ეროვნული ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. ბათუმელები ჯერჯერობით მეოთხე ადგილზე არიან და ფიქრობენ ფინიშის სწორზე სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაიუმჯობესონ.

ჩვენი აჭარელი კორესპონდენტი ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე შეხვდა გუნდის მთავარ მწვრთნელს **ასლან ბალაძეს.**

— წელიწადზე მეტია, რაც გუნდს ჩავუდექი სათავეში, ამ ხნის მანძილზე უკვე ბევრის გაკეთება მოვასწარი, „დინამო“ ნელ-ნელა იბრუნებს თავის ძველ ხელწერას. რაც მთავარია, შეიკრა გუნდის ძირითადი ბირთვი და პირველ ექვსეულში დამკვიდრების ასპროცენტიანი შანსი გაგვიჩნდა.

● ***როდის შეუდგა გუნდი მზადებას, არის თუ არა მოსალოდნელი რაიმე ცვლილებები შემადგენლობაში?***

— სამდღიანი სამედიცინო შემოწმების შემდეგ, 6 იანვარს ჩავატარეთ პირველი ვარჯიში, გუნდის ძირითად ბირთვში 30 ფეხბურთელია. გუნდიდან არავინ გაგვიშვია, ისე კი, ორი-სამი ფეხბურთელის დამატებას ვაპირებთ, პირველ რიგში მეკარეს და ორ ფორვარდს მოვიწვევთ.

● ***კი, მაგრამ ორი სრულფასოვანი გოლკიპერი გყავთ — გია ჭანტურია და ირაკლი ბალაძე, ისინი, ხომ მართლაც მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან?***

— კონკურენციისთვის გუნდში მესამე მეკარე აუცილებელია. ტერნოპოლის „ნივადან“ დაგვიბრუნდა საკმაოდ გამოცდილი მარჯვენა ნახევარმცველი ავთანდილ გვიანიძე, რომელიც კიდევ უფრო გაამაგრებს ნახევარდაცვის ხაზს.

● ***გუნდში კიდევ რომელი რგოლი საჭიროებს გაძლიერებასა და დახვეწას?***

— გამოკვეთილი პრობლემები თავდასხმაში გვაქვს. ეს რგოლი არასტაბილურად თამაშობს. თუმცა, იცით, რომ 33 წლის ვეტერან, ცენტრალურ თავდამსხმელს პაატა მაჭუტაძეს 8 გოლი აქვს გატანილი და ლიდერთა ხუთეულშია, მას მხარს უჭერს ტექნიკური თამაშით გამორჩეული შალვა აფხაზავა, მაგრამ ხშირი ტრავმები და ბედს მინდობილად 30-40 მატჩის ჩატარება ერთობ ძნელია, ამიტომ თავდასხმას აუცილებლად გავაძლიერებთ.

● ***ვის თვლით მე-13 ეროვნული ჩემპიონატის რეალურ ფავორიტად?***

— ორგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“, ალბათ ზედიზედ მესამედ მოიპოვებს ამ საპატიო წოდებას. თუმცა თბილისის „ლოკომოტივსაც“ გააჩნია პოტენციური შესაძლებლობა. ჩვენი მიზანია, რომელიმე ევროტურნირის საგზური მოვიპოვოთ, ისე, დაგეგმილი გვაქვს მესამე პრიზიორი გავხდეთ. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენებს.

● ***თქვენი შეხედულებით, საქართველოში, რა დონეზეა დღეს ფეხბურთი?***

— ჯერჯერობით დონე დაბალია. თუ ქვეყანა ეკონომიურად არ მოძლიერდა, რაიმე წინსვლაზე და წარმატებაზე ზედმეტია ლაპარაკი. ჩვენს ქვეყანაში ორადორი გუნდია, სადაც შესაძლებელია სპორტსმენის გაზრდა — თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“.

● ***ბათუმის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია, სპონსორების გამონახვის მიუხედავად, ნელი ტემპით მიმდინარეობს.***

— დასამალი არაფერია და, არც დავმალავ. მე არ მახსოვს, როდესმე ბათუმში ასეთი მდგომარეობა ყოფილიყოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნორმალური გასახდელიც კი არ გვაქვს. მთავრობა დაგვპირდა, რომ გამოსწორდება მდგომარეობა. ჩვენ კი შევეცდებით კარგი თამაშით დავაფასოთ ამაგი.

● ***როგორია თქვენი გუნდის უახლესი გეგმები?***

— 20 იანვარს ბაკურიანში გავემგზავრებით ათდღიან შეკრებაზე, ფიზიკური მომზადების სრულყოფას გავივლით. იქ ამის შესანიშნავი პირობებია. შემდეგ, 2 თებერვლიდან, ბულგარეთში სამი კვირის მანძილზე ჩავატარებთ ხუთ-ექვს ამხანაგურ საწვრთნელ-საკონტროლო შეხვედრას უცხოეთის საუკეთესო კლუბებთან. თებერვლის ბოლოს კი დავბრუნდებით ბათუმში და დასკვნითი ეტაპის მზადებას ადგილზე დავასრულებთ. ამასობაში კარს მოგვადგება ჩემპიონატი და 2 მარტს საკუთარ მოედანზე ლანჩხუთის „გურიას“ ვუმასპინძლებთ...

**ოთარ მურვანიძე,**
გაზეთ „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი აჭარაში.

* * *

**თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“** სეზონისთვის მზადება ყველაზე ადრე დაიწყო. გუნდმა 26 დეკემბრიდან ახალწლამდე ივარჯიშა. ნაახალწლევს ვიტელები ისევ შეიკრიბნენ, დღეს ათი დღით ბაკურიანში წავიდნენ. მერე მცირე ხნით შეისვენებენ და 29 იანვრიდან 18 თებერვლამდე ანტალიაში გააგრძელებენ მზადებას. გუნდი თითქმის დაკომპლექტებულია. კლუბიდან თბილისის „დინამოში“ გადავიდა გოგობერიშვილი. დინამოდან ვეტერინარებს თუთარაშვილი შეუერთდა, გუნდში მოვიდა რუსთაველი გოცირიძე.

* * *

სამზადისს შეუდგა **რუსთავის „ბორდაც“**. გუნდში საკმაო ცვლილებებია. კლუბი დატოვეს: ბურნაძემ, ალადაშვილმა, მიშველიძემ და მიქაძემ. თბილისის „ლოკომოტივიდან“ რუსთაველებს შეუერთდა გოდერძიშვილი, ლანჩხუთის „გურიიდან“ – ებრალიძე, ქუთაისიდან – თავბერიძე, „დინამოდან“ – მეკარე ბათიაშვილი.

* * *

სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა **თბილისის „ლოკომოტივში“**. კონტრაქტი დაუმთავრდათ და კლუბიდან წავიდა ორი წამყვანი ფეხბურთელი – გამთამაშებელი გიორგი ანჩაბაძე და თავდამსხმელი დავით ძათვაძე.

* * *

საქართველოს ათგზის ჩემპიონის **თბილისის „დინამოს“** გრანდიოზულ გეგმებზე კარგა ხანია საუბრობენ. კლუბი მართლაც ფუტკრის სკას მოგაგონებთ. ფეხბურთელთა წვრთნა და მესვეურთა ფუსფუსი ერთი წუთითაც არ წყდება. კლუბის სამივე გუნდისთვის მოთამაშეთა შერჩევა კომპლექსურად, ინტენსიურად მიმდინარეობს. უცხოეთში გამგზავრებამდე „დინამოს“ ფარმკლუბების საკონტროლო მატჩიც გაიმართა. გუშინ კი გუნდი კვიპროსში გაფრინდა. კუნძულზე „დინამო“ რვა ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავს. იქ გუნდი ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: *მეკარეები* – ზოიძე, მამალაძე; *მცველები:* შაშიაშვილი, ვაშაკიძე, სვანაძე, ჩივაძე, კანდელაკი; *ნახევარმცველები:* შავგულიძე, შალამბერიძე, ამისულაშვილი, ბურდული, მანწკავა, მაზიაშვილი, დარასელია, სამხარაძე, გოგობერიშვილი, მიქაძე; *თავდამსხმელები:* ზირაქიშვილი, მიკუჩაძე, ბობოხიძე.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს მურთაზ შელიას მამის გარდაცვალების გამო.**

# დარტყმა!... დარტყმა!.. კიდევ დარტყმა!..

საფეხბურთო სამყაროში, ვფიქრობ, ძნელად თუ მოიძებნება ფეხბურთის ისეთი რადიოკომენტატორი, როგორიც იყო ეროსი მანჯგალაძე.

საფეხბურთო მინდორზე შექმნილი პერიპეტიები არავის შეეძლო მასზე უკეთ მიეტანა მსმენელამდე. ვინც ეროსის რეპორტაჟებს უსმენდა, თავი ალბათ სტერეო-კინოში ჰქონდა წარმოდგენილი იმის შეგრძნებით, რომ თითქოს თვითონაც მონაწილეობდა საფეხბურთო მატჩში.

ერთი სიტყვით, მსმენელი შეიგრძნობდა ყველაფერს, რაც სტადიონზე ხდებოდა.



აღმოსავლური სიბრძნე გვაცნობს: ;„სიტყვას გამოსულს გულის სიღრმიდან, შეუძლია გაჰკვეთოს მეორე გული“. სწორედ ეს სიტყვები მიესადაგებოდა ეროსი მანჯგალაძის ყოველ რეპორტაჟს, რომელიც ერთსულოვნად გაჯერებული იყო ისეთი სარკაზმით, როგორიც იუმორია. სწორედ ამ და სხვა აურაცხელ მიზეზთა გამო შეაყვარა მან ფეხბურთი თაობებს, რომელთაგან შემდგომში – რჩეულნი რჩეულთა შორის საერთაშორისო კლასის ფეხბურთის ოსტატად მოევლინა საფეხბურთო სამყაროს. ეროსი მანჯგალაძე ტექნიკური ფეხბურთის ტრფიალი გახლდათ. თუ ფეხბურთელი რაიმე ტექნიკურ ილეთს შეასრულებდა მოედანზე, იგი მას ხოტბას შეასხამდა, თუნდაც მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელი ყოფილიყო. ამ წერილის სათაურში მოყვანილი ფრაზის გარდა, მისი საყვარელი სიტყვა იყო – არის! გაიხსენეთ პოეტის ფრაზა: „თქვენებრ ვინა თქვას არის!“...

ეროსის არაქართველი ფეხბურთის მოყვარულებიც უსმენდნენ. ამ რამდენიმე ხნის წინათ, საქართველოს რადიოს ერთ-ერთ პოპულარულ გადაცემაში – „რეპროდუქტორი“ – ყური მოვკარი, რომელიღაც აზერბაიჯანელი ფეხბურთის მოყვარული, მიუხედავად იმისა, რომ მას ქართული ენა არ სცოდნია, უსმენდა ეროსის გადაცემებს და უკითხავს, თუ რას ნიშნავს სიტყვა – არის! რომელსაც არც თუ ხშირად, განსაკუთრებული აზარტით წარმოთქვამდა ჩვენი სახიქადულო და განუმეორებელი დიქტორი....

ანალოგიური შემთხვევის მოწმე მეც გავხდი. ერთ-ერთი სოჭელი ფეხბურთის გულშემატკივარი, თბილისის „დინამოს“ თაყვანისმცემელი გრიგორი მაკარიანი ფეხბურთის დღეს, როდესაც თბილისის „დინამო“ თამაშობდა, აფხაზეთში ჩადიოდა და რეპორტაჟს უსმენდა. თუმცა ქართულის ერთი სიტყვაც არ გაეგებოდა. მანაც ანალოგიური შეკითხვა მომცა, – თუ რას ნიშნავს სიტყვა „დარტყმა“.... მერე კი დაუმატა – „აი, მესმის რა შესანიშნავი კომენტატორი გყავთ!! მხოლოდ სამწუხაროა, რატომ არ გადმოსცემს იგი რეპორტაჟს რუსულად!?“...

ეროსი მანჯგალაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირად იყენებდა სიბრძნის ისეთ სარკაზმს, როგორიც იუმორია! – თუნდაც რად ღირს მისი მახვილგონივრული სიტყვები – „ჩვენმა მკვდრებმა აღმართეს ცოცხალი კედელი“.... „პონედელნიკი ალბათ ორშაბათობით თუ თამაშობს კარგად“.. – „გაისმა გონგის ხმა და ახლა მოედანზე შემოსასვლელად, ალბათ კარლო გაგნიძე ემზადება“, და მრავალი სხვა.

თვითონ ეროსი მანჯგალაძეს არაერთხელ ჩაუცვამს ფეხბურთელის მაისური და თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ თეატრისა და კინოს მსახიობ ფეხბურთელთა შემადგენლობაში უთამაშია.

ოცი წლის წინათ წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი მსახიობი, ბრწყინვალე რადიოკომენტატორი ეროსი მანჯგალაძე, მიუხედავად არც თუ მცირე დროისა, იგი დღესაც ისევე პოპულარულია, როგორიც სიცოცხლეში იყო.

**ღემურ ტორაძე**

# ბავშვთა ფეხბურთი



*თბილისის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის (დირექტორი მერაბ მეტრეველი) ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი მწვრთნელებთან ვოვა ხაჩატურიანთან (მარჯვნივ) და თამაზ დემეტრაშვილთან ერთად.*




*რობერტ ბაგრატიანის ფოტოები*

## სიმბოლური ტურნირი

„ლელომ“ ფართოდ გააშუქა მიხეილ მესხის ტურნირი, რომელიც ოთხ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. მაგრამ ლეგენდარული ფეხბურთელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ასპარეზობა ამით არ დამთავრებულა. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ოლიმპიური მზადების ცენტრმა, რომელიც „ავაზას“ საფეხბურთო სკოლასაც აერთიანებს, პირადად ამ ცენტრის დირექტორის გიორგი უღესიანის თაოსნობით 1991 წლიანთა მინიფეხბურთის ტურნირი ჩაატარა. ტურნირი სიმბოლური იყო და გუნდებიც ასევე სიმბოლურად შეირჩა. მატჩების ბოლო დღე მიხეილ მესხის დაბადების დღეს — 12 იანვარს დაამთხვიეს. შემდეგ ნორჩებმა ყვავილებით შეამკეს მ. მესხის საფლავი.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გამარჯვებული და პრიზიორები არ გამოვლენილა, რაც ასევე სიმბოლური იყო. შეხვედრები კი ასე დამთავრდა: ავაზა — ორს 2-2; დინამო — კოლხეთი 3-1, ავაზა — დინამო 3-1; ორს — კოლხეთი 6-0, ორს — დინამო 1-0; ავაზა — კოლხეთი 2-2.

# ჯემალ ზეინკლიშვილი: „ყველა ჩიტის ენა ვიცი“

**1964 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ „ოქროს ბიჭების“ თაობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს ჯემალ ზეინკლიშვილს წლეულს 65 წელი შეუსრულდება. იგი „დინამოს“ ღირსებას სულ რაღაც ექვსი სეზონი იცავდა, თუმცა 60-იანი წლების გუნდის თამაშში თავისი კვალის დატოვება და ტიტულების მოპოვებაც მოასწრო. ხანმოკლე კარიერის მიუხედავად, ბატონ ჯემალს მრავალი დასამახსოვრებელი და მოსაგონარი დაუგროვდა. ჩვენც დაუზარელად გვესაუბრა, ახალგაზრდობა და საფეხბურთო კარიერის საინტერესო ეპიზოდები გაიხსენა. ჯემალ ზეინკლიშვილი 1937 წლის 19 დეკემბერს დაიბადა ბორჯომში. 1959-1965 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“. 171 მატჩში გაიტანა 6 გოლი. 1964 წლის ჩემპიონის მედლის მოპოვებამდე ორჯერ 1959, 1962 წლებში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. მაგრამ მის კარიერაში, 1964 წელი და ტაშკენტის „ოქროს მატჩი“ ნამდვილად გამორჩეულია. იმ წელს იგი 33 საუკეთესო ფეხბურთელებს შორის დაასახელეს.**

● ***როგორ დაიწყო თქვენი საფეხბურთო კარიერა?***

— ბორჯომის სპორტული სკოლის გუნდ „პიშჩევიკში“ 1952 წელს. ორი წელი „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელთან ვანო მეტრეველთან ვვარჯიშობდი. 1955 წელს მოვხვდი ახალგაზრდა ფეხბურთელთა საფეხბურთო სკოლაში, არჩილ კიკნაძესთან. 1956 წელს ანდრო ჟორდანიას ხელმძღვანელობით სკოლებს შორის საკავშირო თასი მოვიპოვეთ. მერე იყო სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი, რომელიც თბილისის პირველობაზე თამაშობდა. 1958 წელს შეიქმნა სტუდენტთა გუნდი „ბურევესტნიკი“, რომელიც საკავშირო პირველობის „ბ“ კლასში გამოდიოდა. მეკარის გარდა, ყველა პოზიციაზე ვთამაშობდი, დასაწყისში თავდამსხმელი ვიყავი და 31 გოლიც გავიტანე. იმავე წელს მოვხვდი სსრ კავშირის კლუბების ნაკრებში. გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ ჩემზე კარგი სტატია დაიწერა, რამაც თბილისის „დინამოში“ ჩემი კარიერის დაწყება განაპირობა. 1959 წელს, „დინამოს“ ანდრო ჟორდანია წვრთნიდა და გუნდში ჩამრიცხა. კარგა ხანს თავდამსხმელი ვიყავი. მერე შოთა იამანიძესთან ერთად, ნახევარდაცვაში ვთამაშობდი, ბოლოს კი მცველის მოვალეობას ვასრულებდი. გამიმართლა, ჩემთან ერთად გუნდში ის თაობა მოვიდა, რომელმაც 1964 წელს სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა.

● ***გასახსენებელი მრავლად გექნებათ, იმდროინდელი ბატალიებიდან რას მოიგონებთ?***

— სადებიუტო 1959 წელს, საპრიზო ადგილის პრეტენდენტები ვიყავით. სეზონის ბოლო მატჩი კუიბიშევში გვქონდა, თუ მოვიგებდით, მესამე ადგილზე გავდიოდით. საბედნიეროდ, გავიმარჯვეთ, გადამწყვეტი გოლი მე გავიტანე.

● ***რა მოხდა 1960 წელს, გახმაურებულ სათასო ფინალურ მატჩში მოსკოვის „ტორპედოსთან“?***

— მატჩის არბიტრი უკრაინელი ცაპოვეცკი იყო. მანაც „ჩინებულად“ შეასრულა საკავშირო სპორტკომიტეტის დავალება და მატჩი ძალით წაგვაგებინა. ის მატჩი იმ დროის, პირდაპირი გამოძახილი იყო.



● ***სტრელცოვის წინააღმდეგ თუ გითამაშიათ?***

— მხოლოდ ერთხელ, ისიც ამხანაგურ მატჩში. განუმეორებელი, დიდებული ფეხბურთელი იყო. ორივე ფეხით კარგად თამაშობდა. მინდვრის შესანიშნავი ხედვა ჰქონდა.

● ***კვლავ 1960 წლის ფინალს მივუბრუნდეთ.***

— ფინალის შემდეგ გუნდის მწვრთნელი შეიცვალა. „დინამოს“ სათავეში ავთანდილ ღოღობერიძე ჩაუდგა. მისი თანაშემწე ნესტორ ჩხატარაშვილი გახლდათ. ისინი შემდგომ იაკუშინმა შეცვალა. შესანიშნავი მწვრთნელი იყო მიხეი. 1962 წელს ბრინჯაოს მედლები ავიღეთ. ის, რაც გუნდს კარგი ჰქონდა, თითქმის მისი დამსახურებაა. მაგრამ 1963 წლის ბოლოს იაკუშინი კაჩალინმა შეცვალა. ერთი წლის შემდეგ ჩემპიონებიც გავხდით. ტაშკენტში „ტორპედოს“ ერთგვარი რევანშიც ავუღეთ. იმ შეხვედრაში ივანოვს ვმეურვეობდი. უხეში მცველი არასოდეს ვყოფილვარ, ხისტად თამაში კი მეხერხებოდა.

● ***თქვენზე ამბობენ, მხატვრული სტვენის ოსტატიაო და ეს ნიჭი მატჩებშიც არაერთხელ გამოგიყენებიათ?***

— მართალია. ასეთ კონკურსში პირველი მედალი 1957 წელს მივიღე. მსოფლიოში არსებულ ჩიტებს შემიძლია მივბაძო და მათებურად ვიჭიკჭიკო. ყველა ჩიტის ენა ვიცი. ერთ-ერთ მატჩში, მოსკოვის ცსკა-სთან სტვენა კარგად გამომადგა. აპუხტინმა სამი მცველი მოგვატყუა და როდესაც სერგოსთან პირისპირ თითქმის გასული იყო, მაშინ დავუსტვინე. თავდამსხმელს ეგონა, მსაჯმა ჩასტვინაო, შეჩერდა და გაცოფებული არბიტრს ეცა. ის კი, საწყლად გაიძახოდა, „ია ნე სვისტნულ“.

● ***სახალისოს კიდევ თუ გაიხსენებდით?***

— ტაშკენტში „ტორპედოსთან“ მატჩის წინადღეს, იქაურ ბაზარში შევიარეთ და 60 მანეთად ვირი ვიყიდეთ. შინაგან საქმეთა სამინისტროს აგარაკზე ვცხოვრობდით და მატჩის შემდეგ ის ვირი დარაჯს დავუტოვეთ საჩუქრად.

● ***ოქროს მედლები რომ მოიპოვეთ, საჩუქრები ან პრემიები თუ მიიღეთ?***

— რადიოები. ძველად „სპიდოლას“ რომ ეძახდნენ და საათი „პოლიოტ“ დაგვირიგეს, მაშინ 165 მანეთი გვქონდა ხელფასი, პრემიად კი 500-500 მანეთი მოგვცეს ფეხბურთელებს. ანაზღაურებაზე არც ვფიქრობდით, ჩვენთვის მთავარი ფეხბურთი იყო. სურვილი კი ერთი — ხალხი გაგვეხარებინა. იმ დღის ერთ ეპიზოდსაც გავიხსენებ. ოთარ ლაზიშვილმა ტაშკენტის საუკეთესო რესტორანში მიგვიწვია მე და ბორია სიჭინავა, რეისი კი თითქმის ორი საათით გადაიდო. ვიქეიფეთ და თბილისში გამოვფრინდით.

● ***ქეიფი გყვარებიათ.***

— რომ არ მყვარებოდა, წარმოიდგინე ფეხბურთს ვერც ვითამაშებდი.

● ***კარიერის ადრე დასრულების მიზეზი რა იყო?***

— იყო გარკვეული ხელისშემშლელი პირობები. 1965 წელს წამოვედი „დინამოდან“, მცირე ხნით ტყიბულში, „მეშახტეში“ ვიყავი ანდრო ჟორდანიასთან, „ლოკომოტივში“ ნოდარ ახალკაცთან და 27 წლის ასაკში დავამთავრე თამაში. ფეხბურთს დიდი ხნით ჩამოვშორდი. მესამე წელია ეროვნული ჩემპიონატის ინსპექტორი ვარ. დღეს ქართულ ფეხბურთს უჭირს, სისუსტეს ბევრი მიზეზი აქვს. სამეგობროც შემომეცალა ნელ-ნელა, ექვსნი დავრჩით, როდესაც ერთმანეთს ვხვდებით, გარდასულ წლებს ვიხსენებთ. თუმცა, ოპტიმიზმის საფუძველიც არის, მომავალზე ფიქრი აუცილებელია.

ესაუბრა **საბა ლომინაძე**

*სურათზე: 1964 წ. 3 ნოემბერი. საკავშირო ჩემპიონატი: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი) 3-1. ამ მატჩში თბილისელთა ცენტრალურმა მცველმა ჯ. ზეინკლიშვილმა (ბურთით) მწვრთნელის შეფასება „5“ დაიმსახურა.*

*ფოტო „ლელოს“ არქივიდან*

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები

## ინგლისი

***ნიუკასლი — ლიდსი 3-1***
0-1 სმიტი (1), 1-1 დაბერი (44 საკ კარში), 2-1 დაიერი (60). 3-1 ბელამი (87).

***ასტონ ვილა — დერბი 2-1***
1-0 ვასელი (12), 1-1 პაუელი (23), 2-1 ანხელი (26)

***ბლექბერნი — ჩარლტონი 4-1***
1-0 ტუგაი (5), 2-0 კოული (45), 2-1 იუელი (53), 3-1 ჰინგეტი (85), 4-1 ჯანსენი (89).

***ევერტონი — სანდერლენდი 1-0***
ბლომკვისტი (27)

***ფულემი — მიდლსბრო 2-1***
0-1 კუპერი (8), 1-1 სახა (40), 2-1 მარლე (45)

***იფსვიჩი — ტოტენჰემი 2-1***
1-0 ბენტი (12), 1-1 პოიეტი (58), 2-1 მაკგრილი (81).

***ბოლტონი — ჩელსი 2-2***
0-1 გუდიონსენი (53), 1-1 რიკეტსი (56), 1-2 ფორსელი (65), 2-2 ნოლანი (79)

***ვესტ ჰემი — ლესტერი 1-0***
დი კანიო (36)

***საუთჰემპტონი — მანჩესტერი 1-3***
1-0 შიტი (3), 1-1 ვან ნისტერლოი (9), 1-2 ბექჰემი (45), 1-3 სოლსკიაერი (63).

***არსენალი — ლივერპული 1-1***
1-0 ლიუნბერგი (62), 1-1 რიისე (68)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 22 | 13 | 3 | 6 | 54-32 | 42 |
| ნიუკასლი | 22 | 13 | 3 | 6 | 42-29 | 42 |
| ლიდსი | 22 | 11 | 8 | 3 | 34-20 | 41 |
| არსენალი | 21 | 11 | 7 | 3 | 42-25 | 40 |
| ლივერპული | 21 | 11 | 6 | 4 | 31-21 | 39 |
| ჩელსი | 22 | 8 | 10 | 4 | 35-22 | 34 |
| ასტონ ვილა | 22 | 8 | 8 | 6 | 29-27 | 32 |
| ტოტენჰემი | 22 | 9 | 4 | 9 | 33-29 | 31 |
| ფულემი | 21 | 7 | 9 | 5 | 22-21 | 30 |
| ჩარლტონი | 22 | 7 | 8 | 7 | 28-28 | 29 |
| ვესტ ჰემი | 22 | 7 | 7 | 8 | 26-34 | 28 |
| სანდერლენ. | 22 | 7 | 6 | 9 | 18-24 | 27 |
| ევერტონი | 22 | 7 | 5 | 10 | 24-29 | 26 |
| ბლექბერნი | 22 | 6 | 7 | 9 | 29-27 | 25 |
| ბოლტონი | 22 | 5 | 9 | 8 | 26-34 | 24 |
| მიდლსბრო | 21 | 6 | 4 | 11 | 20-30 | 22 |
| საუთჰემპტ. | 21 | 7 | 1 | 13 | 24-36 | 22 |
| იფსვიჩი | 22 | 5 | 6 | 11 | 28-32 | 21 |
| დერბი | 22 | 5 | 4 | 13 | 16-38 | 19 |
| ლესტერი | 21 | 3 | 7 | 11 | 14-37 | 16 |

***ბომბარდირები:***
16 — ანრი (არსენალი).
14-14 ვან ნისტერლოი (მანჩესტერი), ჰასელბანკი (ჩელსი).
12 — რიკეტსი (ბოლტონი).
11 — შირერი (ნიუკასლი).

## იტალია

***ატალანტა — ბოლონია 2-2***
1-0 დონი (10 პენ), 2-0 ბერეტა (23), 2-1 ოლივე (41), 2-2 ბრიოსკი (90)

***კიევო — ფიორენტინა 2-2***
0-1 ნუნუ გომეში (13), 1-1 კორინი (45 პენ), 2-1 დ'ანნა (87), 2-2 ადრიანო (90).

***მილანი — ბრეშა 0-0***

***პარმა — ლეჩე 1-1***
1-0 ჯეტუ (56), 1-1 ვუგრინეცი (88).

***პიაჩენცა — ლაციო 1-0***
ჰიუბნერი (70).

***რომა — ვერონა 3-2***
0-1 მუტუ (45), 0-2 მუტუ (54), 1-2 ასუნსაო (56), 2-2 კასანო (64), 3-2 ბატისტუტა (90).

***ტორინო — უდინეზე 3-1***
1-0 ლუკარელი (27 პენ), 1-1 იაკვინტა (45), 2-1 მასპერო (69), 3-1 ლუკარელი (83).

***ვენეცია — იუვენტუსი 1-2***
0-1 ტრეზეგე (7), 1-1 მაგალანეში (59), 1-2 იულიანო (76).

***პერუჯა — ინტერი 0-2***
ვიერი (58), რეკობა (74).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 18 | 11 | 6 | 1 | 28-11 | 39 |
| ინტერი | 18 | 11 | 5 | 2 | 33-16 | 38 |
| იუვენტუსი | 18 | 9 | 7 | 2 | 32-14 | 34 |
| კიევო | 17 | 10 | 3 | 4 | 32-22 | 33 |
| მილანი | 18 | 8 | 7 | 3 | 26-18 | 31 |
| ბოლონია | 18 | 8 | 4 | 6 | 17-18 | 28 |
| ლაციო | 17 | 6 | 7 | 4 | 21-13 | 25 |
| ვერონა | 18 | 7 | 4 | 7 | 25-27 | 25 |
| პერუჯა | 18 | 6 | 4 | 8 | 20-23 | 22 |
| ატალანტა | 18 | 6 | 4 | 8 | 24-31 | 22 |
| პიაჩენცა | 18 | 6 | 3 | 9 | 24-25 | 21 |
| უდინეზე | 18 | 6 | 3 | 9 | 25-31 | 21 |
| ტორინო | 18 | 5 | 5 | 8 | 21-24 | 20 |
| ბრეშა | 18 | 4 | 7 | 7 | 20-30 | 19 |
| პარმა | 18 | 4 | 6 | 8 | 22-28 | 18 |
| ლეჩე | 18 | 4 | 6 | 8 | 19-26 | 18 |
| ფიორენტინა | 18 | 4 | 3 | 11 | 20-37 | 15 |
| ვენეცია | 18 | 2 | 4 | 12 | 16-31 | 10 |

***ბომბარდირები:***
13 — ჰიუბნერი (პიაჩენცა).
12-12 — ვიერი (ინტერი), დი ვაიო (პარმა), დონი (ატალანტა).
11 — ტრეზეგე (იუვენტუსი), შევჩენკო (მილანი).

## ესპანეთი

***ბილბაო — სოსიედადი 2-1***
1-0 ტიკო (39), 1-1 დე პედრო (45), 2-1 ტიკო (59).

***ვილიარეალი — რაიო 1-1***
1-0 ვიქტორი (64), 1-1 კუვედო (90).

***სელტა — ოსასუნა 1-1***
1-0 ვაგნერი (25), 1-1 კურჩაგა (65).

***ბარსელონა — სევილია 3-1***
0-1 ტომასი (5), 1-1 რივალდო (7), 2-1 გაბრი (58), 3-1 რივალდო (61).

***ალავესი — ტენერიფე 1-0***
მოსელინი (12).


არსენალი — ლივერპული


რეალი — ვალენსია


ბარსელონა — სევილია

***სარაგოსა — ესპანიოლი 0-0***

***ვალიადოლიდი — დეპორტივო 3-0***
მარკოსი (31), ფერნანდო (32), ფერნანდო (58).

***ბეტისი — მალაგა 1-1***
1-0 ხუანიტო (47), 1-1 ლიტოსი (68).

***ლას პალმასი — მალიორკა 3-1***
1-0 ჰოსიკო (25), 1-1 ლუკე (72), 2-1 შურერი (89), 3-1 ნაჩო გონსალესი (90 პენ).

***რეალი — ვალენსია 1-0***
მორიენტესი (72).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 20 | 11 | 5 | 4 | 37-22 | 38 |
| ბილბაო | 20 | 9 | 7 | 4 | 29-26 | 34 |
| სელტა | 20 | 8 | 9 | 3 | 37-23 | 33 |
| ბარსელონა | 20 | 9 | 6 | 5 | 30-18 | 33 |
| ალავესი | 19 | 10 | 3 | 6 | 20-12 | 33 |
| ვალენსია | 20 | 8 | 9 | 3 | 23-17 | 33 |
| დეპორტივო | 20 | 10 | 3 | 7 | 33-28 | 33 |
| ბეტისი | 20 | 9 | 5 | 6 | 21-19 | 32 |
| ვალიადოლ. | 20 | 8 | 4 | 8 | 23-33 | 28 |
| ლას პალმასი | 20 | 7 | 6 | 7 | 23-17 | 27 |
| სევილია | 20 | 7 | 6 | 7 | 30-25 | 27 |
| მალაგა | 20 | 6 | 7 | 7 | 23-25 | 25 |
| ესპანიოლი | 20 | 7 | 4 | 9 | 24-31 | 25 |
| სარაგოსა | 20 | 7 | 3 | 10 | 18-27 | 24 |
| ვილიარეალი | 20 | 6 | 5 | 9 | 20-23 | 23 |
| ოსასუნა | 20 | 6 | 5 | 9 | 18-25 | 23 |
| ტენერიფე | 20 | 6 | 3 | 11 | 14-24 | 21 |
| მალიორკა | 20 | 5 | 5 | 10 | 20-29 | 20 |
| სოსიედადი | 20 | 5 | 4 | 11 | 24-29 | 19 |
| რაიო | 19 | 3 | 5 | 11 | 19-33 | 14 |

***ბომბარდირები:***
10-10 — კატანია (სელტა), რაული (რეალი), ურსაისი (ბილბაო)

## საფრანგეთი

***ლილი — ლანსი 0-1***
***რენი — პსჟ 1-2***
***ოსერი — ბორდო (გადაიდო)***
***ლიონი — ტრუა (გადაიდო)***
***მარსელი — ბასტია 2-2***
***მეცი — სედანი (გადაიდო)***
***მონაკო — ლორიანი 1-0***
***ნანტი — გენგამი 2-0***
***სოშო — მონპელიე 0-1***


რენი — პსჟ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 20 | 13 | 5 | 2 | 36-14 | 44 |
| ლიონი | 19 | 11 | 3 | 5 | 37-20 | 36 |
| პსჟ | 21 | 8 | 10 | 3 | 25-16 | 34 |
| ოსერი | 18 | 9 | 6 | 3 | 26-18 | 33 |
| ლილი | 20 | 9 | 6 | 5 | 25-20 | 33 |
| ბორდო | 19 | 8 | 7 | 4 | 17-11 | 31 |
| მონპელიე | 19 | 7 | 7 | 5 | 20-15 | 28 |
| სოშო | 21 | 7 | 7 | 7 | 28-26 | 28 |
| მონაკო | 20 | 7 | 5 | 8 | 22-22 | 26 |
| ტრუა | 18 | 7 | 4 | 7 | 21-21 | 25 |
| მარსელი | 20 | 5 | 9 | 6 | 19-19 | 24 |
| ბასტია | 20 | 7 | 2 | 11 | 22-31 | 23 |
| სედანი | 19 | 5 | 7 | 7 | 22-22 | 22 |
| ნანტი | 21 | 6 | 4 | 11 | 18-28 | 22 |
| რენი | 21 | 5 | 5 | 11 | 20-33 | 20 |
| გენგამი | 21 | 5 | 5 | 11 | 18-37 | 20 |
| მეცი | 17 | 5 | 2 | 10 | 9-18 | 17 |
| ლორიანი | 20 | 4 | 4 | 12 | 28-42 | 16 |

## პორტუგალია

***ჟილ ვისენტე — გიმარაეში 2-1***
***ფარენსე — სალგეიროში 2-1***
***ბენფიკა — ვარზიმი 3-2***
***პორტუ — სპორტინგი 2-2***
***ალვერკა — სანტა კლარა 3-1***
***ლეირია — ბრაგა 3-1***
***სეტუბალი — მარიტიმუ 0-1***
***ბელენენსეში — ფერეირა 1-2***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 18 | 11 | 4 | 3 | 40-15 | 37 |
| ლეირია | 18 | 9 | 6 | 3 | 33-16 | 33 |
| პორტუ | 18 | 10 | 3 | 5 | 31-16 | 33 |
| ბოავიშტა | 17 | 10 | 3 | 4 | 28-13 | 33 |
| ბენფიკა | 18 | 8 | 8 | 2 | 29-20 | 32 |
| ბელენენსეში | 18 | 8 | 4 | 6 | 26-26 | 28 |
| მარიტიმუ | 18 | 8 | 2 | 8 | 22-20 | 26 |
| გიმარაეში | 18 | 7 | 4 | 7 | 20-20 | 25 |
| ფერეირა | 18 | 6 | 6 | 6 | 22-27 | 24 |
| ჟილ ვისენტე | 18 | 7 | 3 | 8 | 23-30 | 24 |
| ბრაგა | 18 | 6 | 5 | 7 | 24-18 | 23 |
| სტ. კლარა | 18 | 6 | 5 | 7 | 16-23 | 23 |
| სალგეიროში | 18 | 6 | 3 | 9 | 18-35 | 21 |
| ბეირა მარი | 17 | 4 | 6 | 7 | 27-28 | 18 |
| ალვერკა | 18 | 5 | 3 | 10 | 22-35 | 18 |
| ფარენსე | 18 | 5 | 3 | 10 | 14-27 | 18 |
| სეტუბალი | 18 | 4 | 5 | 9 | 19-22 | 17 |
| ვარზიმი | 18 | 2 | 5 | 11 | 13-36 | 11 |

## ბელგია

***ლუვიე — ბეერსხოტი 1-1***
***ბევერენი — გენკი 1-6***
***ლოკერენი — ლიერსი 2-1***
***ვესტერლო — ბრიუგე 1-4***
***მუსკრონი — აალსტი 6-1***
***სტ. ტრუიდენი — გენტი 0-1***
***მოლენბეკი — ლომელი 0-1***
***ანტვერპენი — ანდერლეხტი 2-2***
***სტანდარდი — შარლერუა 6-0***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 18 | 13 | 1 | 4 | 42-20 | 40 |
| სტანდარდი | 18 | 12 | 4 | 2 | 38-18 | 40 |
| გენკი | 18 | 11 | 6 | 1 | 54-24 | 39 |
| გენტი | 18 | 12 | 3 | 3 | 33-21 | 39 |
| ანდერლეხტი | 18 | 10 | 6 | 2 | 38-20 | 36 |
| ლოკერენი | 18 | 9 | 5 | 4 | 27-18 | 32 |
| ბეერსხოტი | 18 | 7 | 6 | 5 | 36-25 | 27 |
| მუსკრონი | 18 | 7 | 1 | 10 | 35-29 | 22 |
| სტ. ტრუიდ. | 18 | 6 | 4 | 8 | 26-28 | 22 |
| ლომელი | 18 | 5 | 6 | 7 | 29-36 | 21 |
| შარლერუა | 18 | 6 | 3 | 9 | 15-35 | 21 |
| ვესტერლო | 18 | 5 | 3 | 10 | 29-36 | 18 |
| აალსტი | 18 | 5 | 3 | 10 | 19-41 | 18 |
| ლიერსი | 18 | 4 | 5 | 9 | 26-31 | 17 |
| ანტვერპენი | 18 | 4 | 5 | 9 | 24-31 | 17 |
| მოლენბეკი | 18 | 5 | 2 | 11 | 23-33 | 17 |
| ლუვიე | 18 | 3 | 6 | 9 | 21-37 | 15 |
| ბევერენი | 18 | 1 | 5 | 12 | 17-49 | 8 |

## შოტლანდია

***დანდი — ჰიბერნიანი 1-0***
***ჰართსი — აბერდინი 3-1***
***მოზერუელი — დანდი იუნ. 2-0***
***რეინჯერსი — ლივინგსტონი 3-0***
***სტ. ჯონსტონი — დანფერმლაინი 0-1***
***კილმარნოკი — სელტიკი 0-2***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 23 | 21 | 1 | 1 | 55-11 | 64 |
| რეინჯერსი | 23 | 15 | 6 | 2 | 52-17 | 51 |
| ლივინგსტ. | 23 | 11 | 7 | 5 | 33-20 | 40 |
| ჰართსი | 24 | 10 | 4 | 10 | 34-29 | 34 |
| აბერდინი | 23 | 10 | 3 | 10 | 32-35 | 33 |
| კილმარნოკი | 23 | 9 | 4 | 10 | 23-26 | 31 |
| დანფერმლ. | 23 | 8 | 4 | 11 | 25-37 | 28 |
| დანდი | 22 | 7 | 5 | 10 | 23-34 | 26 |
| დანდი იუნ. | 24 | 6 | 7 | 11 | 23-43 | 25 |
| მოზერუელი | 24 | 6 | 6 | 12 | 31-45 | 24 |
| ჰიბერნიანი | 24 | 5 | 7 | 12 | 27-36 | 22 |
| სტ. ჯონსტ. | 24 | 3 | 4 | 17 | 15-40 | 13 |

## საბერძნეთი

***ეთნიკოსი — ქსანთი 0-0***
***ოფი — იონიკოსი 4-0***
***აკრატიტოსი — პაოკი 1-2***
***პანათინაიკოსი — ეგალეო 2-1***
***ირაკლისი — აეკი 3-2***
***პანიონიოსი — არისი 1-0***
***ოლიმპიაკოსი — პანაჰაიკი 4-0***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკი | 11 | 9 | 0 | 2 | 27-10 | 27 |
| ოლიმპიაკ. | 11 | 7 | 4 | 0 | 30-12 | 25 |
| პაოკი | 11 | 6 | 3 | 2 | 19-14 | 21 |
| ქსანთი | 11 | 5 | 4 | 2 | 17-11 | 19 |
| პანათინაიკ. | 11 | 5 | 3 | 3 | 25-13 | 18 |
| ოფი | 11 | 5 | 2 | 4 | 15-13 | 17 |
| არისი | 11 | 4 | 4 | 3 | 13-12 | 16 |
| ირაკლისი | 11 | 4 | 4 | 3 | 14-15 | 16 |
| პანიონიოსი | 11 | 3 | 4 | 4 | 14-20 | 13 |
| ეთნიკოსი | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| აკრატიტოსი | 11 | 2 | 3 | 6 | 12-16 | 9 |
| პანაჰაიკი | 11 | 1 | 3 | 7 | 9-27 | 6 |
| ეგალეო | 11 | 1 | 2 | 8 | 13-27 | 5 |
| იონიკოსი | 11 | 0 | 5 | 6 | 7-21 | 5 |


ვენეცია — იუვენტუსი


მილანი — ბრეშა


ბევერენი — გენკი

## ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

# პირველი სენსაცია!

ჯერ არ დაწყებულა ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, მაგრამ ტრავმის გამო მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ანდრე აგასიმ და სერენა უილიამსმა. დაფიქსირდა პირველი სენსაცია. მეორე ნომრად განთესილი ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი ხუთ სეტიან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა ფრანგ ჟულენ ბუტესთან.

გაგაცნობთ პირველი დღის ზოგიერთ შედეგებს:

**ვაჟები:** ჟულენ ბუტე (საფრანგეთი) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 3-6, 4-6, 7-5, 6-3, 6-3.

გილერმო კანასი (არგენტინა, 12) — პარადორნი სრიჩაპხანი (ტაილანდი) 6-1, 6-1, 6-4.

სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი,5) — ხუან ბალცელსი (ესპანეთი) 6-2, 2-6, 7-6, 7-6.

ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 4) — მიხაელ კოლმანი (გერმანია) 6-3, 6-3, 6-2.

ტინ ჰენმანი (ინგლისი, 6) — ტოდ ლარკჰანი (ავსტრალია) 7-5, 6-2, 6-2

იონ ელ-აინაუი (მაროკო, 21) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6-3, 6-3, 6-3.

ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — ნიკოლასი კიფერი (გერმანია) 6-1, 6-0, 6-4.



ევგენი კაფელნიკოვი



პირსი

**ქალები:** ამანდა კეტცერი (სამ. აფრიკა, 15) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6-1, 6-1

ნატალი დეში (საფრანგეთი) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 7-5, 4-6, 6-3

ჯილ კრეიბასი (აშშ) — მარი პირსი (საფრანგეთი) 4-0 (უარი განაცხადა)

მონიკა სელეში (აშშ, 8) — პეტი შნაიდერი (შვეიცარია) 6-2, 6-2

ვენუს უილიამსი (აშშ, 2) — ენსლი კარგილი (აშშ) 6-2, 6-2.

**გუშინ. ქალები:** მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 3) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:2, 6:2; ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) — სამანტა რივზი (აშშ) 6:0, 6:7, 6:3; ლაიზა რეიმონდი (აშშ, 18) — სედა ნორლანდერი (ჰოლანდია) 6:0, 6:1.

**ვაჟები:** გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 10) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 4:6, 7:5, 7:6 6:4; ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — ალექს კორეტხა (ესპანეთი, 14) 5:7, 7:6, 6:3 6:2; ალბერტო პორტასი (ესპანეთი 18) — ენდრიუ ილიე (ავსტრალია) 6:7, 7:6, 6:2, 6:0; ანდრეას გაუდენცი (იტალია) — რიჩარდ ფრომბურგი (ავსტრია) 1:6, 6:0, 7:5, 6:3; ტომი რობრედო (ესპანეთი 32) — მაიკლ რასელი (აშშ) 6:7, 6:3, 6:3, 6:4.

# ნბა

**ტორონტო — კლიპერსი 72:79**

*ტორონტო:* კარტერი (31), დევისი (10+17 მოხსნა)
*კლიპერსი:* ოდომი (16), ოლოვოკანდი (16).

**საკრამენტო — ფინიქსი 103:100**

*საკრამენტო:* უებერი (28), სტოიაკოვიჩი (25)
*ფინიქსი:* მარბერი (33), როჯერსი (24)

**პორტლენდი — კლივლენდი 96:64**

*პორტლენდი:* უელსი (18), პიპენი (13)
*კლივლენდი:* მიურეი (16).



საკრამენტო — ფინიქსი

### აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 24 | 11 | 68,6 |
| ბოსტონი | 22 | 14 | 61,1 |
| ვაშინგტონი | 18 | 16 | 52,9 |
| ორლანდო | 19 | 20 | 48,7 |
| ფილადელფია | 16 | 20 | 44,4 |
| ნიუ იორკი | 14 | 22 | 38,9 |
| მაიამი | 8 | 26 | 23,5 |

ცენტრალური დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| მილუოკი | 21 | 13 | 61,8 |
| ინდიანა | 21 | 17 | 55,3 |
| ტორონტო | 20 | 17 | 54,1 |
| დეტროიტი | 17 | 18 | 48,6 |
| შარლოტი | 17 | 19 | 47,2 |
| ატლანტა | 13 | 23 | 37,1 |
| კლივლენდი | 13 | 24 | 35,1 |
| ჩიკაგო | 7 | 29 | 19,4 |

### დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| მინესოტა | 27 | 9 | 75,0 |
| სან ანტონიო | 25 | 9 | 73,5 |
| დალასი | 25 | 11 | 69,4 |
| იუტა | 19 | 17 | 52,8 |
| მემფისი | 12 | 24 | 33,3 |
| ჰიუსტონი | 12 | 24 | 33,3 |
| დენვერი | 11 | 24 | 31,4 |

პასიფიკის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ლეიკერსი | 26 | 8 | 76,5 |
| საკრამენტო | 27 | 9 | 75,0 |
| სიეტლი | 19 | 17 | 52,8 |
| ფინიქსი | 19 | 19 | 50,0 |
| კლიპერსი | 19 | 19 | 50,0 |
| პორტლენდი | 18 | 19 | 48,6 |
| გოლ.სტეიტი | 12 | 23 | 34,3 |

## „ბორჯღალოსნები" თებერვლიდან იბურთავებენ



ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ფავორიტს და შარშანდელ ტრიუმფატორს, ქართველ „ბორჯღალოსნებს" რაგბის საერთაშორისო ფედერაციამ ტურნირის კალენდარი წარუდგინა. სანაკრებო ოფიციალურ მატჩებს საქართველოს ეროვნული ნაკრები თებერვალში დაიწყებს და პირველ მატჩს შინ გამართავს ჰოლანდიის ნაკრებთან, ტურნირს კი აპრილში დაასრულებს რუმინელებთან მატჩით.

კლოდ სორელის შეგირდებისთვის ტურნირის კალენდარი ასე გამოიყურება:

*3 თებერვალი. საქართველო – ჰოლანდია*
*16 თებერვალი. პორტუგალია – საქართველო*
*3 მარტი. საქართველო – რუსეთი*
*17 მარტი. ესპანეთი – საქართველო*
*8 აპრილი. საქართველო – რუმინეთი.*

## საჭადრაკო ტურნირი ვეიკ-ან-ზეეში

ნიდერლანდების ქ. ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე ვაჟთა საჭადრაკო ტურნირში („კორუსი") ორი ტურის შემდეგ 1,5-1,5 ქულა აქვთ ადამსს, გელფანდს, ლეკოს და ტიმანს. თითო ქულა აქვთ ბარეევს, დრეევს, გრიშჩუკს, გურევიჩს, მოროზევიჩს, ხალიფმანს და პიკეტს, ხოლო კასიმჯანოვს და ლოტეს — 0,5-0,5. ორშაბათს ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ.

## თქვენ და 2002 წელი ● ჰოროსკოპი



იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ვერძის ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ, 2002 წელი საბოლოო ჯამში საკმაოდ წარმატებული იქნება, მიუხედავად იმისა, რომ თავს იჩენს გაურკვევლობები და სირთულეები. მოულოდნელი კრიზისები ვერაფერს დაგაკლებთ, თავდაჯერებით სიარული დასახული მიზნისკენ ხომ თქვენი ნატურაა. გაკვალული გზით სიარული ისედაც არ გჩვევიათ და წლეულს ამაში პლანეტებიც დაგეხმარებიან. შეგიძლიათ რწმენით იყოთ, რომ ყველა დასახულ მიზანს ცხოვრებაში ისე გაატარებთ, მარცხის შიში არ გექნებათ. შარშან თუ თქვენს აქტიურობას თქვენივე მმართველი პლანეტა მარსი გარკვეულწილად ბოჭავდა, წლეულს, პირიქით, მისი შემწეობის სრული იმედი გქონდეთ.

ადამიანებთან ურთიერთობა, როგორც ყოველთვის, წლეულსაც შესანიშნავად წარიმართება, ყველაზე აქტიური კი მაისი იქნება. საქმეებიც უკეთ წარიმართება, თუმცა კარიერაზე ზრუნვა მეორე პლანზე გადაიწევს, რაც გარკვეულწილად თქვენთვის კარგია, უპირველესად ჯანმრთელობისათვის. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძველი პრობლემები და ვნებათაღელვა ნელ-ნელა დაცხრება. ივლისიდან ამ მხრივ ყველაფერი კარგად იქნება. წლევანდელი წელი მეტად საპასუხისმგებლოა თქვენთვისაც და თქვენი პარტნიორებისთვის. საბოლოოოდ უკმაყოფილონი არ დარჩებით. შეყვარებულები ახალ სიტუაციებს შესანიშნავად მოერგებიან.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**15 იანვარი, სამშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (22.00), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00), *მე-9 არხი.* „მსოფლიო ფეხბურთი" (12.00), ევროპის სტადიონებზე (20.00), ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (11.30, 1.30), ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი (22.15, 2.45), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონატების მიმოხილვა: ინგლისის (21.45), ესპანეთის (23.10), მსოფლიო ფეხბურთი (0.10), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (9.20, 22.35), კალათბურთი. ევროლიგის მატჩების მიმოხილვა (18.15), სოლტ-ლეიკ-სიტის გზები (19.10).

**16 იანვარი, ოთხშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (10.35), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00), ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (11.30, 18.45, 1.30), ბიატლონი. მსოფლიო თასი (17.15), ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი (22.00, 3.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონატების მიმოხილვა: ინგლისის (15.25), ესპანეთის (18.00), იტალიის (21.10), 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი: ხორვატია-იაპონია (23.15), ***НТВ плюсспорт.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (11.55), კალათბურთი. ევროლიგა (20.55, 23.25), ჭადრაკი. ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი: ვ. ივანჩუკი – რ. პონომარიოვი), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები (1.30).

**17 იანვარი, ხუთშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ხელბურთი. ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო – პოლონეთი. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (16.55), *რუსთავი-2.* ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.25). ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (11.30, 19.01, 1.30), ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი (22.30, 2.45). ***НТВ плюс футбол.*** 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი: ხორვატია – იაპონია (13.15), ბელგია – კორეა (23.05). ჩემპიონატების მიმოხილვა: იტალიის (15.20), ჰოლანდიის (19.20), ინგლისის (0.50), ესპანეთის (1.55). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (9.30, 23.00), ჭადრაკი. ფიდე-ს მსოფლიო ჩემპიონატი (22.30), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები (18.15), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (20.45).

საქართველოს პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს და კრივის სამყაროს, საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტის
**ზურაბ ფალიანის**
გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტის
**ზურაბ ფალიანის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაცია და საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა-ვერე" ღრმა მწუხარებას გამოთქვავს საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტის
**ზურაბ ფალიანის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის კრივის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტის
**ზურაბ ფალიანის**
გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს.

## კროსვორდი №3



**თარაზულად:** 5. წარსულში მსოფლიოში სახელგანთქმული სომეხი ტანმოვარჯიშე, 6. სპორტული ნავი, 7. ესპანეთის II დივიზიონის საფეხბ. გუნდი, 9. მეტოქისთვის წინასწარ მიცემული უპირატესობა, 10. ვეტერანი უკრაინელი ფეხბურთელი, 12. ინგლისის საფეხბურთო ლიგის სრული დასახელება, 13. ალპინისტის აღჭურვილობის შემადგენელი ინვენტარი, 14. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი, 15. ფრანგი ფეხბურთელი, 16. იტალიის სერია „ბ"-ს საფეხბ. გუნდი, 17. შავიზღვისპირა კურორტი, 20. იტალიის ნაკრებისა და „რომას" ფეხბურთელი, 21. ჭიდაობის სახეობა, 23. ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი, 25. ინგლისელი ვეტერანი სტაიერი, 26. „უოტფორდის" იტალიელი მწვრთნელი ფეხბურთში, 27. კონტინენტი, 28. ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელ ძოფის სახელი.

**შვეულად:** 1. ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ვაჟი, 2. შედეგი სპორტში, 3. სიტყვათა შორის კავშირი, 4. „ბოკა ხუნიორსის" ფეხბურთელი, 8. წარსულში ერთ-ერთი ქართული ფეხბურთელის მეტსახელი, 9. ცრუ სტარტი, ანუ... 11. ისრაელის საფეხბ. კლუბი, 18. მცხეთის საფეხბურთო კლუბი, 19. ფეხბურთში მცველი მწმენდელი, ანუ... 22. გორის საფეხბურთო კლუბი, 24. ფეხბურთელი — არგენტინელი მეკარე.

### კროსვორდი №2-ის პასუხები:

**თარაზულად:** 3. აფრა, 6. თარჯი, 7. ნოტინგემი, 9. კასპი, 10. პია, 11. „სიონი", 13. თილისმა, 15. დვირი, 16. პროსტი, 17. ყოფიანი, 18. ინძაგი. **შვეულად:** 1. ნინო, 2. საიდა, 4. კროსვორდი, 5. ბილიკი, 8. „მიდლსბრო", 11. „სამსუნი", 12. შავდია, 13. თარჩია, 14. „ზარია".

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

„ლელო" №1-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლf3! მუქარა 2. ლf7+ – 3. ლd7X.
1. ...0-0-0 2. ლa8+ კb8 3. ლa6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე